

## საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება

(მეთოდური სახელმძღვანელო)

საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ჩამოსაყალიბებლად გამოსაყენებელი ზმნები

ზმნები	მაგალითები
<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p><b>ცოდნა:</b>  განლაგება; შეგროვება, განსაზღვრა, აღწერა  განმეორება/გადმოღება, ჩამოთვლა, გამორკვევა,  პოვნა, იდენტიფიცირება, სახელდება,  ჩამოთვლა, დამახსოვრება, დასახელება,  მონესრიგება, მონახაზის გაკეთება, წარდგენა,  ციტირება, ცნობა, გახსენება/მოგონება, ჩანერა,  მოყოლა/თხრობა, დაკავშირება,  რეპროდუცირება, ჩვენება,  ჩამოყალიბება/კონსტანტირება; დაჯგუფება,  გარჩევა</p> <p><b>გაგება/გაცნობიერება:</b>  დაკავშირება, შეცვლა, განმარტება,  კლასიფიცირება, კონსტრუირება, შედარება,  გარდაქმნა, დეკოდირება, დაცვა, აღწერა,  დიფერენცირება/განსხვავება, გარჩევა, განხილვა,  განსხვავება, გამოანგარიშება, ახსნა, გამოხატვა,  განზოგადება, იდენტიფიცირება,  <b>ილუსტრირება, მითითება, აზრის გამოტანა,</b>  <b>ინტერპრეტირება, განთავსება, პერიფრაზირება,</b></p>	<p><b>ცოდნის მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>· ჩამოთვლის/იხსენებს გენეტიკის ტერმინოლოგიას:</li> <li>· ჰომოზიგუსი, ჰეტეროზიგუსი, ფენოტიპი, გენოტიპი და ა.შ.</li> <li>· აღწერს სამეცნიერო კვლევების ეთიკურ შედეგებს</li> <li>· აღწერს როგორ და რატომ იცვლება კანონები და ამ ცვლილებების გავლენას საზოგადოებაზე</li> <li>· განსაზღვრავს რა ტიპის ქცევა იწვევს არაპროფესიულ პრაქტიკას ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში</li> </ul> <p><b>გაგების/გაცნობიერების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>· ელექტრონული კომერციის განვითარებისათვის განსაზღვრავს მის მიზნებსა და მონაწილეებს</li> <li>· პროგნოზირებს უჯრედის გენოტიპს, მეიოზისისა და მიტოზის შემდეგ</li> <li>· ხსნის პირველი მსოფლიო ომის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს ომის შემდგომ მსოფლიოზე</li> <li>· ახდენს ეგზოთერმული და ენდოთერმული რეაქციების კლასიფიცირებას</li> </ul>

	<p>პროგნოზირება/განჯვრება, აღიარება, ანგარიშის შედგენა, რეფორმულირება, მიმოხილვა, შერჩევა, გადანჯვრება, თარგმნა.</p>	<p>ამოიცნობს იმ ძალებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს ირლანდიაში საგანმანათლებლო სისტემის</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>გამოყენება, პრაქტიკაში გამოყენება, შეფასება, გაანგარიშება, შეცვლა, არჩევა, დასრულება, გამოთვლა, აგება/კონსტრუირება, დემონსტრირება, განვითარება, აღმოჩენა, დრამატიზება, გამოცდა, ექსპერიმენტირება, პოვნა/დადგენა, ილუსტრირება, ინტერპრეტირება, მანიპულირება, მოდიფიცირება, ოპერირება, ორგანიზირება, პროგნოზირება, მომზადება, წარმოება, დაკავშირება, დაგეგმვა, ჩვენება, მონახაზის გაკეთება, გადანჯვრება, ტრანსფერი/გადატანა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>· ადგენს მეცხრამეტე საუკუნის აესტრალიაში არსებული მნიშვნელოვანი მოვლენების თანამიმდევრობას</li> <li>· ინფექციის კონტროლის შესახებ ცოდნას იყენებს პაციენტების მოვლის საშუალებების შესანარჩუნებლად.</li> <li>· არჩევს და იყენებს აპრობირებულ მეთოდებს კომპლექსურ ინდუსტრიულ პროცესებში ენერჯის გამოყენების ეფექტიანობის ანალიზისათვის.</li> <li>· ახდენს მცირე მანუფაქტურული ფირმის მითითებების მოდიფიცირებას პროდუქციის ხარისხის კონტროლის მიზნით.</li> <li>· უჩვენებს თუ რა გავლენა მოახდინა ციხის გარიგებებზე მეცხრამეტე საუკუნის შოტლანდიაში სისხლის სამართალში შეტანილმა ცვლილებებმა.</li> <li>· იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპებს კლინიკური დიაგნოზტირებისას .</li> </ul>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><b>ანალიზი (დაბალი დონე):</b>  გაანალიზება, ინფორმირება, რანჟირება/ორგანიზება, დანაწილება, გამოანგარიშება, კატეგორიზაცია, კლასიფიცირება, შედარება, დაკავშირება, შეპირისპირება, კრიტიკა, განხილვა, განსაზღვრა, დიფერენცირება, გამორჩევა, განსხვავება, დაყოფა, შემონახვა/გამოცდა, ექსპერიმენტირება, იდენტიფიცირება, ილუსტრირება, დასკვნის გაკეთება, შემონახვა, გამოკვლევა, მონესრიგება, მონახაზის გაკეთება, მითითება, გამოკითხვა, დაკავშირება, განცალკევება, ტესტირება.</p> <p><b>სინთეზი (საშუალო დონე):</b>  არგუმენტირება/დასაბურთება, რანჟირება/ორგანიზება, შეგროვება, კატეგორიზაცია, შეკრება, კომბინირება, კომპილაცია, შედგენა, აგება, შექმნა, განვითარება, ჩამოყალიბება, ახსნა/განმარტება, ფორმულირება, განზოგადება, გენერირება, ინტეგრირება, გამოგონება, გაკეთება, მართვა/დაძლევა, მოდიფიცირება, ორგანიზირება, დაგეგმვა, მომზადება,</p>	<p><b>ანალიზის მაგალითები:</b>  აანალიზებს, რატომ ახდენს საზოგადოება ზოგიერთი ქცევის კრიმინალიზაციას.  · ერთმანეთს ადარებს და უპირისპიებს სხვადასხვა ელექტრონულ ბიზნესს.  · განიხილავს ენერჯის გარდაქმნის პროცესების ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ეფექტებს.  · ახლად კვალიფიცირებული მასწავლებლის სწავლების მიდგომას ადარებს 20 წლის გამოცდილების მქონე მასწავლებლის მიდგომასთან.</p> <p><b>სინთეზის მაგალითები:</b>  ამოიცნობს და ახდენს იმ პრობლემების ფორმულირებას, რაც დაკავშირებულია ენერჯის მენეჯმენტის გადანჯვრელებებთან.  · შეიმუშავებს ენერჯის მენეჯმენტის კომპლექსურ პრობლემების გადაჭრის გზებს, როგორც გეპირად ისე წერილობით.  · აჯამებს რუსეთის 1917 წლის რევოლუციის მიზგებსა და შედეგებს.</p>

	<p>შეთავაზება/წინადადების მომზადება, რეკონსტრუირება, მონესრიგება, დაკავშირება, რეორგანიზება, გადახედვა, შექმნა, შეჯამება</p> <p><b>შეფასება (მაღალი დონე):</b></p> <p>ინფორმირება, დადგენა/გამორკვევა, არგუმენტირება, შეფასება, დაკავშირება, შედარება, ამორჩევა, დასკვნის გაკეთება, შეპირისპირება, დარწმუნება, გაკრიტიკება, გადანწყვეტა, დაცვა, გამორჩევა, ახსნა/განმარტება, ევალუაცია, დახარისხება, ინტერპრეტირება, მსჯელობა, დამონშება(ფაქტებით), გაზომვა, პროგნოზირება, დადგენა, რეკომენდაციების მომზადება, დაკავშირება, გადაჭრა, გადახედვა, დაანგარიშება, შეჯამება, მხარდაჭერა, ვალიდაცია, შეფასება</p>	<p><b>შეფასების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>. აფასებს ირლანდიის ისტორიის განვითარებაში ძირითადი მონაწილეების მნიშვნელობას.</li> <li>. აფასებს მარკეტინგულ სტრატეგიას განსხვავებული ელექტრონული ბიზნეს მოდელებისთვის.</li> <li>. აჯამებს ფარადის ძირითად წვლილს ელექტრომაგნიტური ინდუქციის სფეროში.</li> <li>. პროგნოზირებს/განჭვრეტს ტემპერატურის ცვლილების ეფექტს ექვილიბრიუმის პოზიციაზე.</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	ჩამოყალიბება, ფორმულირება, შეთავაზება/წინადადების მომზადება, ახსნა/განმარტება, კამათი, ჩვენება, მონაწილეობა, გაზიარება, დასაბუთება, პრეზენტირება	ამზადებს პროფესიულ სტანდარტებზე სემინარს და ახდენს მის პრეზენტირებას
სწავლის უნარი	განვითარება, გამოყენება, მომზადება, დაკავშირება, დაგეგმვა, გადანწყვეტა	
ღირებულებები	მოქმედება, მიღწევა, კითხვის დასმა, მიღება, რეაგირება, დახმარება, მცდელობა, გამონვევა, კომბინირება, დასრულება, შეთანხმება/შენწყობა, კოოპერირება, დაცვა, დემონსტრირება, დიფერენცირება, კამათი, ჩვენება, ინიცირება, მონაწილეობა, ინტეგრირება, დადასტურება, ორგანიზირება, შეერთება, გაზიარება, გადაჭრა, მხარდაჭერა, სინთეზი, ღირებულების დადგენა.	<ul style="list-style-type: none"> <li>. ღებულობს/ცნობს პროფესიული ეთიკური სტანდარტების საჭიროებას</li> <li>. პატივს სცემს პროფესიონალისა და -კლიენტის ურთიერთობაში კონფიდენციალურობის დაცვის საჭიროებას</li> <li>. პატივს სცემს დამოუკიდებლად მუშაობის სურვილს</li> <li>. კარგად შეუძლია ურთიერთობა ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლესთან საკლასო ოთახში</li> <li>. აჩვენებს პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაციის მზაობას</li> <li>. წყვეტს კონფლიქტურ საკითხებს პიროვნულ რწმენასა და ეთიკურ საკითხებს შორის</li> <li>. მონაწილეობს საკლასო დისკუსიებში</li> <li>. იღებს პასუხისმგებლობას მზრუნველობამოკლებული ბავშვების კეთილდღეობაზე</li> <li>. აჩვენებს პროფესიულ პასუხისმგებლობას ეთიკური ქცევის ნორმებისადმი.</li> </ul>

ქვემოთ მოცემული მითითებები შეიძლება დაგეგმარდეს სწავლის შედეგების დაწერისას: (უკეთეს შემთხვევაში 6 -7 სწავლის შედეგი, უკიდურეს შემთხვევაში - 9 სწავლის შედეგი-სასწავლო კურსები. პროგრამისათვის არაუმეტეს 14-სა)

- თითოეული სწავლის შედეგი დაიწყეთ აქტიური ზმნით, რომელსაც მოსდევს ობიექტი და ფრაზა, რაც მთლიანობაში გვაძლევს კონტექსტს (გასათვალისწინებელია, რომ ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველთვის შესაძლებელი არაა ზმნით დაწყება).
- თითოეული სწავლის შედეგისათვის გამოიყენეთ მხოლოდ ერთი ზმნა (შესაძლებელია მაქსიმუმ ორი ზმნის გამოყენება).

- ნუ გამოიყენებთ ორაზროვან ტერმინებს, როგორცაა იყის, იგებს, სწავლობს, იცნობს. ეს ტერმინები ასოცირებულია უფრო სწავლების ამოცანებთან ვიდრე სწავლის შედეგებთან.
- თავი აარიდეთ რთულ წინადადებებს. ერთზე მეტი წინადადება გამოიყენეთ მხოლოდ გარდაუვალ შემთხვევაში.
- უზრუნველყავით მოდულის/სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირი პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან.
- სწავლის შედეგები უნდა იყოს თვალსაჩინო (ადვილად გასაგები) და გაზომვადი.
- შესაძლებელი უნდა იყოს შედეგების შეფასება.
- სწავლის შედეგების დაწერის დროს გაითვალისწინეთ ის ვადები (დროითი ჩარჩო), რომლის ფარგლებშიც უნდა იქნას მიღწეული ეს შედეგი. ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ შედეგების ავტორი იყოს ძალიან ამბიციური. შეეკითხეთ საკუთარ თავს, რეალისტურია თუ არა სწავლის შედეგების მიღწევა კონკრეტულ პერიოდში და არსებული რესურსებით.
- სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინეთ თუ როგორ შეაფასებთ ამ შედეგებს. ე.ი. საიდან გეცოდინებათ, რომ სტუდენტმა მიაღწია დაგეგმილ შედეგს? თუ შედეგი არის ძალიან ფართო, მაშინ შესაძლებელია გართულდეს მისი ეფექტურად შეფასება. თუ შედეგები ჩამოყალიბებულია ძალიან ვიწროდ, მაშინ სწავლის შედეგების ჩამონათვალი იქნება ძალიან გრძელი და დეტალური.
- სწავლის შედეგების ბოლო ვერსიის ჩამოყალიბებამდე, სთხოვეთ კოლეგებსა და ყოფილ სტუდენტებს შეაფასონ თუ რამდენად დამაჯერებელია მათთვის ეს შედეგები.
- როდესაც წერთ სწავლის შედეგებს პირველი წლის შემდგომი სტუდენტებისათვის, შეეცადეთ, რომ არ გადატვირთოთ ჩამონათვალი ისეთი სწავლის შედეგებით, რომლებიც დაწერილია ბლუმის ტაქსონომიის საწყისი დონისთვის (მაგ., ცოდნა და გაგება კოგნიტურ სფეროში) შეეცადეთ, რომ სტუდენტმა გამოიყენოს ის, რაც უკვე ისწავლა, მ.შ. ისეთი შედეგები, რომლებიც უფრო მაღალ დონეს ასახავს (გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება).

### საკონტროლო ფურცელი სწავლის შედეგების დასაწერად

ცხრილში მოცემული საკონტროლო ფურცელი დაგეგმარებათ კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ, დაწერილია თუა არა სწავლის შედეგები სტანდარტული მითითებების შესაბამისად.

N	კითხვები	მონიშნეთ „პტიკით“
1	ორიენტირებულია შედეგზე და არა პროცესზე	
2	ორიენტირებულია იმაზე თუ რისი დემონსტრირების შესაძლებლობა აქვს სტუდენტს სწავლის დასრულების შემდეგ და არა იმაზე თუ რა გააკეთა მან სწავლების დროს	
3	თითოეული სწავლის შედეგი იწყება აქტიური ზმნით (ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით შნიძლება იყოს სხვა წყობაც)	
4	ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს	
5	არაა გამოყენებული ისეთი ზმნები როგორცაა: იყის, იგებს, სწავლობს, იცნობს, გათვითცნობიერებულია.	
6	არის თუ არა სწავლის შედეგები თვალსაჩინო და გაზომვადი?	
7	შესაძლებელია თუ არა სწავლის შედეგების შეფასება?	
8	გამოყენებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისას ბლუმის ტაქსონომია?	

9	ყველა შედეგი შეესაბამება თუ არა სასწავლო კურსის/მოდულის მიზნებსა და შინაარსს?	
---	---	--

10	სწავლის შედეგების რაოდენობა შესაბამისობაშია რეკომენდირებულთან? (მაქსიმუმ ცხრა შედეგი ერთი სასწავლო კურსისთვის/მოდულისთვის); პროგრამისათვის არაუმეტეს 14-სა.	
11	რეალისტურია თუ არა სწავლის შედეგების მიღწევა მოცემულ ვადებში და არსებული რესურსების პირობებში?	

სწავლის შედეგების მაგალითი საინჟინრო პროგრამისთვის (აღებულია უცხოური გამოცდილება) ამ

პროგრამის დასრულების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ სტუდენტს შეეძლება:

- საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებების, ასევე ტექნოლოგიებისა და მათემატიკის ცოდნის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება და გამოყენება;
- საინჟინრო პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება, ანალიზი და გადაჭრა;
- სისტემის, კომპონენტის ან პროცესის დაგეგმვა სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად და ასევე ექსპერიმენტების დაგეგმვა და განხორციელება მონაცემების ანალიზითა და ინტერპრეტირებით;
- ეფექტურად მუშაობა ჯგუფსა და მულტიდისციპლინარულ კონტექსტში, „მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის“ პრინციპის დაცვით;
- ეფექტური კომუნიკაცია, როგორც საინჟინრო, ასევე ფართო საზოგადოებასთან

**თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსს უნდა ერთვოდეს მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების რუკა**

მაგალითი: სასწავლო კურსი „აღრიცხვა ბანკებში“

სწავლის შედეგები		შეფასება
ცოდნა და გაცნობიერება	1. აღწერს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) მოთხოვნების შესაბამისად საბანკო ოპერაციების აღრიცხვის მეთოდოლოგიას;	1. კითხვა-პასუხი; ღია კითხვა; ტესტირება
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	2. ახორციელებს საბანკო ოპერაციების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას; 3. ამზადებს კომერციული ბანკის ბუღალტრულ ანგარიშგებას.	2. პრაქტიკული სავარჯიშო, საშინაო დავალების პრეზენტაცია 3. პრაქტიკული სავარჯიშო, საშინაო დავალების პრეზენტაცია
დასკვნის უნარი	4. ანალიზებს კომერციული ბანკის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.	4. საშინაო დავალების პრეზენტაცია
კომუნიკაციის უნარი	5. მონაწილეობს პროფესიულ კამათსა და დისკუსიაში.	5. კითხვა-პასუხი; საშინაო დავალების პრეზენტაცია
ცოდნის უნარი	6. ანახლებს ცოდნას დამოუკიდებლად კომერციულ ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ლიტერატურის გამოყენებით	6. საშინაო დავალების პრეზენტაცია

## სილაბუსში გასათვალისწინებელი ასპექტები:

1. სილაბუსში მიუთითეთ სასწავლო კურსის სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების საფეხური (ბაკლავრიატი/მაგისტრატურა), სასწავლო კურსის სტატუსი (არჩევითი /სავალდებულო), განხორციელების სემესტრი.
2. მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ სასწავლო კურსის მიზნები
3. მიუთითეთ სასწავლო კურსის კრედიტები;
  - სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა;
  - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა;
  - შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო;
  - პროექტის/რეფერატის და სხვ. დაცვისათვის განკუთვნილი დრო;
  - დასკვნითი ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო.
4. მიუთითეთ, რომელი სასწავლო კურსი/კურსები წარმოადგენს აღნიშნულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობას/წინაპირობებს (წინაპირობა უნდა იყოს ლოგიკური).
5. მიუთითეთ შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ლირებულებების დონე, რომელსაც შეიძენს სტუდენტი აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ.
6. მიუთითეთ მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის განსახორციელებლად (
  - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო და ა. შ.).
7. ჩამოაყალიბეთ სასწავლო კურსის შინაარსი:
  - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული სამუშაოს და სხვ. წერიტი და ზეპირი გამოკითხვის/ რეფერატის, პრეზენტაციის/შუალედური და დასკვნითი გამოცდის და ა. შ.
  - ჩატარების გრაფიკი, საათების მოცულობა და თემები, სწავლების მეთოდები, შესაბამისი ძირითადი ლიტერატურა.
8. მიუთითეთ შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები: კვირეული აქტივობა - წერიტი და/ან ზეპირი გამოკითხვა, შუალედური გამოცდა, რეფერატი/პრეზენტაცია/ესე და ა. შ. და დასკვნითი გამოცდა;
  - შეფასების თითოეული ფორმის ხვედრითი წილი დასკვნითი შეფასებისთვის, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად);
  - შეფასების კრიტერიუმები;
  - დასკვნითი გამოცდაზე დაშვების წინაპირობა;
  - ნიგნი, სამეცნიერო სტატია, ელექტრონული რესურსი, ვებ-გვერდი და ა. შ.
9. მიუთითეთ. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. დააფიქსირეთ ინფორმაცია სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის შესახებ.